

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №9

ქ. ახმეტა

29 მაისი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა:

თ.ყვინციანი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

რ.ბაღვაშვილი, ა.ბურდუღაძე, ბ.ჭიჭიკლიანი
ა.მეჩვერიანი, შ.ტერტერაშვილი
დ.იმერლიანი, ა.შათირიანი
თ.ბოდავაძე, ნ.ალავიძე

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყვინციანიმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - არჩილ მეჩვერიანი/
2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის N 44
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/
3. სკოლამდელი განათლების, სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების,
დაწესებულების შიდა მონიტორინგის და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/

4. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/

5. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/

6. ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/

7. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჭიოში, კულტურის სახლის შენობაში პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე 96144.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

10. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობის II სართულზე არსებული 12.2კვ.მ არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

11. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ა/მანქანა ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

12. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ა/მანქანა ვაზ 21213-ის საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

13. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში მდებარე 39 ერთეული გარე განათების ბოძებზე (რუსთაველის ქუჩაზე, ძველი საავადმყოფოს შესახვევიდან ქ. ახმეტის გასასვლელამდე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კულტურის სახლიდან სამოცბინიან კორპუსამდე) 12 გრძივი მეტრის (ერთეულზე 30 სმ) შპს „მაგთიკომი“-სათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ა.შათირიშვილმა დატოვა სხდომა.

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: 2017 წლის 20 ნოემბრის #71 განკარგულების შესაბამისად, დადგენილების სათაურში სიტყვა „საქმეთა“ შეიცვალა სიტყვით „საკითხთა“. დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოვიღეთ სიტყვა „თეატრი“, შეიცვალა „თ“ ქვეპუნქტი და სრულად ამოვიდა „ლ“ ქვეპუნქტი.

ბიუროზე მსჯელობის შედეგად ცვლილება შევიდა „ე“ ქვეპუნქტში.

ა.მექვევრიშვილმა დატოვა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

6-მომხრე;
1 - წინააღმდეგი;
(მ.ტერტერაშვილი)

1-კენჭისყრაში მონაწილეობა

არ მიიღო (თ.ბოდაველი)

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის N 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი. აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია 2017 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესულმა ცვლილებებმა. აუცილებელი გახდა თვითმმართველობის ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“, ხოლო „გამგებელი“- „მერიით“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: სკოლამდელი განათლების, სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების, დაწესებულების შიდა მონიტორინგის და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: განსახილველი პროექტის შემუშავების საჭიროება წარმოშვა იმან, რომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“-საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა მიიღოს ნორმატიული აქტის პროექტი სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულებათა შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების მიზნით.

ზემოაღნიშნულმა კანონმა დაამკვიდრა შეფასებისა და მონიტორინგის ახალი, თანამედროვე რეგულაციები, რომლებთანაც შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

შ.ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ მე-7 მუხლში გასასწორებელია ნუმერაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: ნორმატიული აქტის პროექტით განისაზღვრება, როგორც სასკოლო მზაობის პროგრამა, ასევე შეფასების სისტემა და

ამავდროულად ადრეული აღზრდისა და განათლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების შიდა მონიტორინგი.

შ.ტერტერაშვილმა პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა გააკეთა, რომ ერთპუნქტიანი მუხლი დანომვრას არ საჭიროებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს წევრებს: პროექტის შემუშავების საფუძველი გახდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“- საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება-- მუნიციპალიტეტს მიეღო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანია განსაზღვროს ადრეული აღზრდისა და განათლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რაც მოეთხოვება ყველა აღზრდელ პედაგოგსა თუ ადმინისტრაციულ პერსონალს. პროექტში დეტალურადაა გაწერილი ადრეული აღზრდისა და განათლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული ყველა აღზრდელ-პედაგოგის, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მომუშავე პერსონალის, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გამოცდილება და მოთხოვნები.

შ.ტერტერაშვილმა ყურადღება გაამახვილა სიტყვა „სტანდარტზე“: ჩამოყალიბდნენ, ტექსტში ჩაიწეროს სიტყვა „სტანდარტი“, თუ „სტანდარტები“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

შ.ტერტერაშვილმა მომხსენებელს მიმართა, რომ დადგენილების და დანართის სათაური არ ემთხვევა ერთმანეთს და მოითხოვს დაზუსტებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს წევრებს. (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს). შ.ტერტერაშვილმა პროექტის პირველ და მე-2 მუხლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთმანეთის გამეორებას წარმოადგენდა და ჩასწორდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ა.შათირიშვილი დაბრუნდა სხდომაზე.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოში, კულტურის სახლის შენობაში პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: სოფელ ოჟიოში, კულტურის სახლის შენობაში პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, 60 კვ.მ ფართის, (საკადასტრო კოდი 50.12.31.449) გადაცემის შესახებ. აღნიშნა, რომ წინა განხილვის დროს ბიურომ უარი თქვა ფართის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე. ამჟამად, მოხდა ელექტრონულად დარეგისტრირება. ფართის წლიური ქირის საწყისი საფასური შეადგენს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ს, **324.0** (სამას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადაა 5(ხუთი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენებელი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე 96144.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს წევრებს: აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული იყო აუქციონი. მოიგო ვინმე,- შალვა ხარებაშვილმა, მაგრამ აუქციონზე იმდენად აიწია ფასმა, რომ პიროვნებამ გააუქმა იჯარა. ამჟამად, ხელმეორედ ცხადდება აუქციონი. განცხადება შემოტანილი აქვს ქ.ახმეტაში მცხოვრებ გელა ონიაშვილს. იჯარას ითხოვს 49 წლის ვადით. პირობაში გვიდებს, რომ 3 წლის განმავლობაში დახარჯავს 40000.0 ლარს, გააშენებს მრავალწლიან ნარგავებს, დაასაქმებს 10 ადამიანს.

ბიუროს წევრებმა მოითხოვეს შესაბამისი კომისიის დასკვნა და ბიზნეს-გეგმა, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ბიზნეს-გეგმა წარმოდგენილი არ არის.

შ.ტერტერაშვილმა შემოიტანა წინადადება, რომ თუ განმცხადებელი წარმოადგენს ბიზნეს-გეგმას, მოაწესრიგებს ყველა საჭირო დოკუმენტს და კომისია ვადაში განიხილავს საკითხს და დადებს დასკვნას, პროექტი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე.

ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი მერიიდან შემოვიდა დაგვიანებით და კომისიამ ვერ მოასწრო საკითხის განხილვა. საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია შეისწავლის საკითხს.

ბიურომ იმსჯელა საკითხის შესახებ და დაეთანხმა მათ აზრს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენებელი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობის II სართულზე არსებული 12.2კვ.მ არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩა N56-ში მდებარე შენობის II სართულზე არსებული 12.2 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით დავით ახალაურისათვის გადაცემის შესახებ. წლიური ქირის საფასური- **180.0 ლარი,**

სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

ბიურომ საკითხის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება: კომისიამ განიხილოს პროექტი და საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, აღნიშნულის გათვალისწინებით, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ა/მანქანა ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს. აღნიშნა, რომ ა/მანქანა ვაზ 21213 სარგებლობაში ჰქონდა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს. ა/მანქანის მწყობრიდან გამოსვლის გამო, 2018 წლის 30 აპრილს მოგვმართეს განცხადებით ა/მანქანის პრივატიზების შესახებ.

შ.ტერტერაშვილმა მომხსენებელს მიმართა, რომ კანონთან შესაბამისობის მიზნით, წარმოდგენილი საკითხი, დღის წესრიგის მომდევნო საკითხთან ერთად, რომელიც აღნიშნული ქონების საპრივატიზებო საფასურის დამტკიცებას ეხება, ჩამოყალიბდეს ერთ საკითხად.

საკრებულოს აპარატის უფროსმა დ.შაშიაშვილმა პროექტის განხილვის პროცესში ბიუროს წარუდგინა საქართველოს მთავრობის 30 მარტის #157 დადგენილება, რომლის თანახმად თვითმმართველობებს ევალება მწყობრიდან გამოსული ავტომანქანები 2018 წლის 15 მაისამდე გადასცეს სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. რადგან, განცხადება აღნიშნული ქონების პრივატიზებაზე შემოსულია მ/წლის 30 აპრილს, კანონიდან გამომდინარე ავტომანქანის გადაცემა უნდა მომხდარიყო 2018 წლის 15 მაისამდე.

ბიურომ მომხსენებელს დაავალა გაეცნოს აღნიშნულ დადგენილებას და შესაბამისად ნოაჩხადოს პროექტები, ამავე დროს დღის წესრიგის 11-12 საკითხები განიხილოს შესაბამისმა კომისიამ და დასკვნა საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში მდებარე 39 ერთეული გარე განათების ბოძებზე (რუსთაველის ქუჩაზე, ძველი საავადმყოფოს შესახვევიდან ქ. ახმეტის გასასვლელამდე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კულტურის სახლიდან სამოცბინიან კორპუსამდე) 12 გრძივი მეტრის (ერთეულზე 30 სმ) შპს „მაგთიკომი“-სათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეისწავლოს კომისიამ და დასკვნა წარმოადგინოს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.
ბიუროს სხდომა დაიხურა 14⁴⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თ.ყვინციანი

განმარტებითი ბარათი

ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“-საქართველოს კანონის ამოქმედებამ, რამდენადაც აღნიშნული კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ვალდებულება მიეღო დადგენილება საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების მიზნით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანია დაადგინოს ადრეული აღზრდისა და განათლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“-საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროა მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგენილებით დაამტკიცოს საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით:

დებულება შედგება ორი მუხლისა და დანართისაგან, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ადრეული აღზრდისა და განათლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ,

. საჯარო დაწესებულების დირექტორს უნდა ჰქონდეს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება ან სხვა პედაგოგიური სასწავლო გამოცდილება აღმზრდელის სპეციალობით;

ბ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო მუშაობის გამოცდილება, ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში საგანმანათლებლო /ადმინისტრაციულ პერსონალად მუშაობის გამოცდილება;

გ) გავლილი გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით;

დ) გავლილი სასერტიფიკატო პროგრამა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრირების მიმართულებით (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მენეჯმენტის სპეციალობით ან განათლების ადმინისტრირების სპეციალიზაციით აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირებზე).

ამ მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები უნდა ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან ხოლო დანარჩენი მუხლები გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო დასესებულებების დირექტორს მოეთხოვებათ ასევე ნორმატიული აქტების ცოდნა, რაც დეტალურადაა გაწერილი დანართში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩათვალოთ პირებს, რომლებიც ამ დადგენილების ამოქმედების მომენტში მუშაობენ საჯარო დაწესებულების დირექტორად.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.

განმარტებითი ბარათი

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ. აღნიშნული კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტს განესაზღვრა ვალდებულება ნორმატიული აქტით დაამტკიცოს **ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები, აგრეთვე ქცევისა და ეთიკის ნორმები,**

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანია **ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, აგრეთვე ქცევისა და ეთიკის წესების განსაზღვრა და დამტკიცება. აგრეთვე ადგილობრივი სამართალ. აქტის კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“-საქართველოს კანონის მოთხოვნების ადგილობრივ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვიდრების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია ზემოაღნიშნულ საკითხებზე მიიღოს ნორმატიული აქტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი საჯარო დაწესებულებებში მომუშავე აღზრდელ-პედაგოგების აღსაზრდელებთან ურთიერთობის ეთიკის ნორმები, აგრეთვე ის, თუ ქცევის რა წესების დაცვა ევალებათ მათ ბავშვებთან ურთიერთობისას და ზოგადად მათი სამსახურებრივი ინსტრუქციები.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით:

დებულება შედგება ორი მუხლისა და დანართისაგან, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი **ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ან/და**

სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების სამსახურებრივი ინსტრუქცია, ქცევისა და ეთიკის წესები.

დანართი შედგება ოთხი თავისა და 9 მუხლისაგან.

პირველ თავში გაწერილია ზოგადი დებულებები: დოკუმენტის მიზანსა და ტერმინთა განმარტებების შესახებ, მეორე თავში განსაზღვრულია პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების ნორმები, მესამეში--ქცევისა და ეთიკის ნორმების შესახებ, ხოლო მეოთხე თავში---წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.